



252-07-2-201801160922

N 252/07

16/01/2018

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ გეგმავს ახალი 220/110/35 კვ ძაბვის ქვესადგური „თელეთი“-ს მშენებლობას, რომელიც განთავსდება არსებული 220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი „ალგეთი“-ს მიმდებარედ და აღნიშნული ეგხ-ს საშუალებით განხორციელდება საპროექტო ქვესადგურის ელექტრომომარაგება.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 3.4 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ახალი 220/110/35 კვ ძაბვის ქვესადგურის „თელეთი“-ს მშენებლობასთან დაკავშირებით წარმოგიდგინებ სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

საპროექტო ტერიტორიის ფართობი შეადგენს დაახლოებით 1.35 ჰექტარს. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი პუნქტი, სოფ. მუხრან-თელეთი, დაცილებულია 700 მეტრით.

საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ არის ზედაპირული წყლის ობიექტი და დაცული ტერიტორია. ამასთან, საპროექტო ტერიტორია თავისუფალია მცენარეული საფარისგან და შესაბამისად პროექტის განხორციელება არ ითვალისწინებს მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას.

ვიზუალური შეფასებით, ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.

პროექტის განხორციელება არ საჭიროებს დამატებითი მისასვლელი გზების მშენებლობას და გამოყენებული იქნება არსებული გზები.

ატმოსფერულ ჰაერში ხმაურის გავრცელებას და დამაბინძურებელი ნივთიერებების გაფრქვევას ადგილი ექნება მხოლოდ მშენებლობის ეტაპზე. თუმცა მშენებლობის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, მშენებლობის ეტაპზე ხმაურის გავრცელებით და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. ამასთან, ატმოსფერულ ჰაერში,

მავნე ნივთიერებების გაფრქვევა დაკავშირებული იქნება მშენებლობის ეტაპზე გამოყენებული სამშენებლო ტექნიკის ძრავებიდან საწვავის წვის პროდუქტების გაფრქვევასთან და აღნიშნული ტექნიკის მოძრაობის დროს მტვრის გავრცელებასთან.


რაც შეეხება ნარჩენების წარმოქმნას, მშენებლობის ეტაპზე, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს როგორც სახიფათო, ასევე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნას. სამშენებლო სამუშაოების მასშტაბიდან გამომდინარე, მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა ასევე არ იქნება მნიშვნელოვანი და მათი მართვა (შენახვა და განთავსების ან აღდგენის მიზნით ნებართვის მქონე ორგანიზაციაზე გადაცემა) განხორციელდება კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით.

რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილ სახიფათო და არასახიფათო ნარჩენებს, მათი მართვა მოხდება სამინისტროსთან ჩვენს მიერ შეთანხმებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად, რომელიც განახლებული იქნება წარმოქმნილი ნარჩენების შემადგენლობის, მახასიათებლების და რაოდენობის შესაბამისად

დანართი: ახალი 220/110/35 კვ ძაბვის ქვესადგური „თელეთი“-ს საპროექტო ტერიტორიის სიტუაციური გეგმა და GIS კოორდინატები.

პატივისცემით,

გიორგი შარკოვი



მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე - მ.შ.

რეაბილიტაციის მმართველი